



N 2719/05

2719-05-2-202305111250

11/05/2023

შ.პ.ს „ქართლი ჯენერეიშენ“-ის დირექტორს
ბატონ დავით გელაშვილს

0179, თბილისი, საქართველო, ივანე თარხნიშვილის #2,
ვერე ბიზნეს ცენტრი, მე-7 სართული.
ელ-ფოსტა: dgelashvili@bdo.ge

წარმოდგენილი დაკორექტირებული
პროექტის შესახებ

ბატონო დავით,

ჩვენს შორის (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - შ.პ.ს „ქართლი ჯენერეიშენ“), 15.11.2021 წელს გაფორმებული გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულება N60-7-121-1042-ის (შ.პ.ს „ქართლი ჯენერეიშენ“-ის მზის ელექტროსადგურის ქ/ს „მარნეული 220“-ის 110კვ ძაბვის მხარეს მიერთება) ფარგლებში, თქვენი 12.04.2023 წლის წერილის (სსე-ში 12.04.2023 წელს რეგისტრირებული წერილი N2496) პასუხად, რომლითაც წარმოდგენილი გაქვთ შესათანხმებლად 110 კვ ე.გ.ხ-ს, 110/35 კვ ქვესადგურის და მზის ელექტროსადგურის დაკორექტირებული პროექტი გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტი პრინციპულად მისდებია, თუმცა ქვესადგურის კუთხით არის რამოდენიმე მექანიკური/ტექნიკური შეცდომა, რომლის მიმართაც გვაქვს შემდეგი შენიშვნები კერძოდ:

1. აღრიცხვის ნაწილის ტექნიკურ სპეციფიკაციაში მითითებულია ორ მიმართულებიანი მრიცხველი, ხოლო მოდიფიკაციის ჩანაწერით არის ერთ მიმართულებიანი.
2. მეხდაცვის ანგარიშები მისაღებია თუმცა მეხდაცვის ნახაზზე ჩანს, რომ ქვესადგურის ტერიტორია სრულად არ არის დაცული, დასაკორექტირებელია.

რაც შეეხება მზის ელექტროსადგურის კუთხით პროექტს და ანგარიშებს არ არის წარმოდგენილი:

1. აღრიცხვის კვანძების გაანგარიშებები, რომელიც ტექნიკური პირობების შესაბამისი პუნქტებით არის განსაზღვრული.
2. მზის სადგურის სრულყოფილი ცალხაზოვანი სქემა და სიგნალების სრული სია (გენერაციის ჩათვლით) SCADA-ს სტანდარტების გათვალისწინებით.

3. მოცემულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში Scada panel topology არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული IT კომუნიკაცია და სარელეო დაცვის მოწყობილობების კომუნიკაციები (კერძოდ დიფერენციალურ-დისტანციურ რელეებს შორის ოპტიკური კომუნიკაცია და PMU-ს კომუნიკაცია), მხოლოდ არის SCADA-ს კომუნიკაციის ნაწილი.
4. პროექტის N35 გვერდზე, დართული გრუნტის ოპტიკური კაბელის ტიპი არ არის დიფერენციალური.
5. ქართლი ჯენერეიშენის დაკორექტირებულ პროექტში არაა განხილული ტექ. პირობის შემდეგი პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია: პ 27,28,29,30,31,32.
6. სისტემასთან უნდა შეთანხმდეს ინვერტორების გამორთვაზე და დაბლოკვაზე მოქმედი სიხშირისა და ძაბვის დანაყენები.


ასევე გაცნობებთ, რომ ვინაიდან მზის სადგური პირველად ერთდება სს „სსე“-ს ქსელში, რომელზეც მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამული მოდელირება, თუ დენების რა სიდიდეს მოგვეცემს სისტემაში სხვადასხვა სახის მოკლედ შერთვების დროს, რომლის პროცესის დახვეწაში აქტიურ დახმარებას გვიწევს პროგრამის ამერიკელი მომწოდებლები, ხოლო რაც შეეხება რელეურ დაცვის დანაყენებს, სელექტირად და საიმედოდაა შერჩეული სისტემის დენების სიდიდეების მიხედვით.

ყოველივე აქედან გამომდინარე ვიტოვებთ უფლებამოსილებას, დენების დაზუსტების შემდეგ, დანაყენები შევცვალოთ რელეური დაცვის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ასევე საჭიროა, გამოგვიგზავნოთ მზის სადგურის ელემენტების საქარხნო მონაცემები, რათა სრულად შევძლოთ დენების პროგრამაში ზუსტი მოდელის განხორციელება.

გთხოვთ, წერილის გაცემიდან უმოკლეს ვადაში წარმოადგინოთ ზემოთ აღნიშნული შენიშვნებით გათვალისწინებული დაკორექტირებული ერთიანი სრულყოფილი პროექტი, რომელსაც თან უნდ ერთვოდეს თქვენს მიერ ჩატარებული საექსპერტო დასკვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეფერხებას გამოიწვევს გადამცემ ქსელთან მიერთებაზე.

პატივისცემით,

გიორგი გიგინეიშვილი



გენერალური დირექტორი

